

1946

№ 6. 1946 წ.  
ბაგოცემის წელი XXIII.  
წასი 2 მან.

# ნიანზი

თბილისი.  
ბაგოცემის წელი  
"კომუნისტი"



24/12 6  
6  
50

ნახ. ა. კანდელაკის

## ახეაზის მიხედვით

— დასწყევლობს მღმერთმა, რა ჩუმად მოგვბარვიან ეს მირცხლები. ერთი მაინც იყოს, ვიტყვოდი: ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოყვანს შეტყი.





# 5

წინ მანძილზე ჩვენი ზეცნიერებნი  
არა მარტო უნდა დაენიონ, არამედ მათ უნდა  
გადააჭარბონ კიდევ მეცნიერების  
მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს  
გარე.



პროფესორი—იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ხუთიანს ხუთზე ჩავაბარებთ!

## ყუჩაბა გააქლავნა

(ბეჩქანული მითისებური)

საბერძნეთში არჩევნები ჩატარდა მონარქისტების გაუგონარი ტერორის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მშრომელმა ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა და კანონიერად არ სთვლის არჩევნებს, მონარქისტები, გარედან მხარის დაჭერით ძალით ახვევენ ბერძენ ხალხს მონარქისტულ ხელისუფლებას.

ძველ მითების სამყაროში, —წინათ ერქვა ელადა,—  
ბევრ საოცარ მოვლენებზე მოგვითხრობდნენ ძველად:  
მაგალითად, კაცს თუ ცხოველს, მცენარეს თუ მდინარეს  
ყველას თითო ღმერთი ჰყავდა: ზოგს წყნარი, ზოგს—მძვინვარე  
და მათ შორის ზოგიერთი, ოსტატობით რჩეული,  
აკვირვებდა ძველ ელლინებს—რთულ „ფოკუსებს“ ჩვეული:  
მაგალითად, როცა ძევესს, ფეტვის კენკვა ეწადა,  
უცებ სირად იქცეოდა, ჩიტად—ერთიბეწვად,  
ჩაუფრენდა გლეხის კალოს, ხევეს, დაფარულს მზის კალთით  
და კენკვად მცირე მარცვალს—ოქროსფერი ნისკარტით!  
მაგრამ თუკი ისურვებდა, იქცეოდა ლომადაც,  
ჩაუულიდა ფარა—ნახიოს და ტკვერავედა ბლომად.  
ხან ხარად და ხან არწივად, ხან თეთრ გედად ქცეული,  
იყო ხოლმე გეროვანად საქმის თავს მოქცეული.  
ცასაც ჰფლობდა, ქვეყანასაც, „ყოვლის შემძლე“ ხმობილი  
და თვალსიერს აჩვენებდა ხალხს—ის ღმერთი ცნობილი:  
ზოგსა სჯიდა, ზოგს ართობდა და ხალისით აქცევდა,  
ზოგიერთს კი, (როცა სურდა)—ცხოველადაც აქცევდა.  
ერთხელ, რაღაც საქმის გამო, რაღაც განხრახულეობით—  
(რად და რისთვის—ეს მითებშიც არ სწერია სრულეობით)  
ერთ ცრუ მეფეს გაუროსხდა, ტახტზე აღარ აუშვა—  
ვირის თავი გააოაბა და ქალაქში გაუშვა.  
ერთიც ვნახოთ, მოედახზე ხალხი შემოესია  
და ყოვენი დასცეს ირგვლივ, ვით იახოვდა წესია.  
— შეხეთ, შეხეთ, ეს, ვინ მოდის  
გრძელ ყურების პანტურით,  
კაცს არა ჰგავს, ყროყინაა  
რადაც იკლიკანტური!  
— როგორ მკადრებთ?—აყროყინდა  
ვირის თავის მფლობელი,  
მე მეფე ვარ, მბრძანებელი—

ამ კუნძულის მპყრობელი!  
თქვენ გმართებდათ მორჩილებით  
ქვეშევრდომად დახვედრა,  
თქვენ კი... თქვენ კი—როგორ მკადრებთ  
რომ ჩამთვალათ სახედრად?  
თქვა და უმაღ ყროყინს მოჰყვა, აშინებდა იმათა,  
მაგრამ ხალხში აღშფოთებამ და ხარხარმა იმატა.  
შეუძახეს:—რისი მეფე? რა ტახტს ეფათურები?  
შენს ჯიშს უმაღ ამქლავნებენ ეგ პარტყუნა ყურები.  
და რაც მოდგმით გეკადრება—აკითხავებთ ხალისით!—  
ეს უთხრეს და ის ვირთავა, „მეფე“ შესაბრაღისი,  
მიჯობეს და ააჭრელეს, აუთრიეს თეძო და  
ისე ბეგვეს, რომ ნაცემი სიკვდილამდე ეწვოდა.  
ეს მითია ელინური, თანაც ძველისძველია,—  
მართლა მოხდა, თუ შეუთხზავთ—ანის თქმაც კი ძნელია.  
მაგრამ ახლა საბერძნეთში რაც ამბები ტრიალებს,  
ამ ზღაპარში მოთხრობილსაც თვალწინ აგვიბრჭყვიალებს:  
დღეს ვირთავა, არამკითხე, წამომდგარი წინ ქებით  
ტახტზე ასვლას ძალით ლამობს—ყოყინით და ტლინკებით,  
და თუმც „ძევის დღევანდელი“—ზღვეს იქიდან მოსული,  
მკარბელობს და თან აქვებს ბნელი ზრახვით მოცული,  
მაგრამ მაინც „ქვეშევრდომებს“ ვერ არწმუნებს ვერას გზით,  
რომ ატარებს სათნოებას შავი გული ვერაგის,  
თუნდ გვერდიც რომ აუაროთ სხვა მიზეზებს მრავალსა,  
თვით ყურები ამქლავნებენ ვირის შთამომავალსა,  
და დღეს თუ ხვალ. ხვა-ე თუ ზევ თმენის ძაფი გაწყდება,  
და იმ ზღაპრულ მეფე ვირის ბედი არც მას ასცდება,  
ვინც დღევანდელ საბერძნეთში ტლინკებით დათაფლობს  
და მებრძოლი ხალხის ზურგზე შეჯდომას ანგარიშობს.





ხამთრის სუსტი გახაფხულის თბილმა ნიავმა შესცვალა. ახმაურდა სოფელი, აჭუჭუნდნენ ტრაქტორები, გადაისერა მინდვრები. აქვეყნდნენ ჩიტები და ყველგან ფაცი-ფუცი დაიწყო.

— აბა დავცხოთ, გავუტოთ ბიჭებო, — თქვენს მარჯვენას ვენაცვალე, — ყვიროდა ტრაქტორზე მჯდარი, ჯარიდან დაბრუნებული ცალხელა გულა და ბარაქიან ბელტებს ხედიხედ აწვევდა. შემობრუნებისას ვეებერთელა მანქანას დამორჩილებულ ცხენივით გვერდით მოაგდებდა და კვლავ ხვნას განაგრძობდა. კოლმეურნეები გატაცებით უტყუროდნენ გულას თა თვალს არ უჯეროდნენ. ის ისევე მარჯვედ ტრიალებდა, როგორც ჯარში წასვლამდე — ხენივით რომ დადგებოდა და სოფლის მოჭიდავე ათეული პატარა ბიჭი ადგილიდან ვერ დასტრავდა.

— დაილოცოს შენი მარჯვენა.  
— მაინც ვეფხვია, ვეფხვი!  
— ჯა, კი არ აჯობოს ი ბიჭსა და, — ისმოდა ქალების ხმები, რომლებიც თესვით უკან მისდევდნენ კარგა მანძილზე გასწრებულ გულას.

— „ტოროლას მაინც არ მოვკლავ ბეგრიც რომ მქონდეს წამალი“, — დიდინებდა გულა და როცა ქიტას გაუპირდაპირდებოდა, ტრაქტორს შეაჩერებდა და რიხიანად გადასახებდა:

— ქიტა, ბიჭო, დემართი არ გაგიწყრეს და არ გაჯობო, დააყე ბიჭოლო..  
ქიტას ესმოდა გულას ძახილი, მაგრამ ყურს იყრუებდა.

— არ დავაყენებ. არა, გინდა გამაცდინო? ეგრე არა ტყუუდება ქიტაი, — ჩაილაპარაკებდა თავისთვის და ტრაქტორს მიაგეღებდა.

ქიტას, სამ-სატ. სადგურის საუკეთესო ტრაქტორისტს — არ გამოუწვევია გულა სოცვეჯიბრებაში, თუ რომელი მეტს მოხნავდა, არც გულასაგან დაწყებულა ამბავი, მაგრამ ერთ დღეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — თანდილამ გულისტიკვილით აღნიშნა ერთ-ერთი ტრაქტორისტი მოულოდნელად ავად განდაო.

— ტრაქტორიც ტყუილად ცდება და მიწაც, დრო კი არ იცდის, — ამბობდა იგი და თითქოს მსხნელს ეძებდა.

— ვითომ რა, მე შენთვის უცხო ვარ თუ? რისი გერიდება, ვეღარ მეტყვი? — წამოიწია გულამ.

— რას ამბობ, ბიჭო ცოდვაში გინდა ფეხი ჩამადგმევირა? ზანა ეგრეა საქმე?

— ვითომ და რატომამ? ე თქვენი ტრაქტორი ტანკზე ძნელი სამართავია თუ რა?

— ტანკი სხვა იყო, ახლა კი...  
— რა ახლა, მიზეზი მაინც მითხარი, მიზეზი, — არ ეშვებოდა გულა. მიზეზის

ხსენებაზე თანდილამ მორიდებულად გადახედა გულას, აათვალიერა-ჩაათვალიერა და წამოიძახა:

— ხომ არ გაგიყუდი, ბიჭო!  
— ხომ ეგრე ამბობ, გინდა სანადლეო დავდოთ, გამიშვი ხვალ მინდორში...

— რას ამბობ გულა, როგორ იქნება, დაფიქრდი რას ამბობ, — ჩაერია ქიტა ლაპარაკში, რომელიც იქვე ტრაქტორს ნაწილებს უსინჯავდა. და როცა გულა გაჯიუტდა — თანდილამ სთქვა:

— ქიტა, შენი კირიმი, ხომ იცი რამდენი საქმეები მაქვს, ხვალ ამ ახირებულს ყურადღება მიაქციე, მეც გამოვალ, მართალია ტანკზე შეჩვეულია, მაგრამ... მეორე დღეს, როცა გულა ტრაქტორს მოახტა და გუგუნით მინდვრისაკენ გააქანა, პირდაღებულმა თანდილამ წამოიძახა:

— რა ყოფილა ე ბიჭი, არ უყურებო? — და საქმეებისაკენ მიაშურა. ახლა კი თვლში გაწუწული ქიტა ერთ წუთს არ კარგავდა, ატყობდა, რომ საქმე მის სასარგებლოდ არ მიდიოდა:

— მე მანდ სირცხვილი კი არ მაქამოს, სადღა გამოგჩნდე, — ბზულუნებდა იგი და თვლის მოწმენდისათვისაც კი ვერ იმეტებდა დროს.

მზე ჩადიოდა.

შეიდ ჰქეტარ გადაშავებულ მიწას ლაპლაპი გაჭქონ და, გულა უკვე ხის ძირას იჯდა, ისვენებდა, ხოლო ქიტა თავისი ტრაქტორით ებრძოდა დარჩენილ მიწის ფართობს, რომელიც თანდათან პატარავდებოდა.

— როგორ არის საქმე? — იკითხა ქანცამოლულმა თანდილამ, როცა გულას მიუახლოვდა, მაგრამ პასუხისთვის აღარ დაუტვია, რადგან საქმე ყველაფერს ამბობდა.

შებინდებისას ხელიხელ გადახვეული გულა და თავდახრილი ქიტა შინ ბრუნდებოდნენ. მათ უკან მიყვებოდნენ დალილი მთესველი ქალები.

— დღეს კი დავგზოცა ხალხი და...  
— არაქათი აღარ შეგვარჩინა.

— მთელი დღე გვარბენინა, — უჩიოდნენ გულას კოლმეურნე ქალები.  
— საით გაუხვიე, გულა?

— სახლისაკენ... წავალ. დავისვენებ.  
— არა ჩემო გულა, ჩემთან შევიდეთ, მე მინდა ქიტასთან ერთად შევაქო შენი დალოცვილი მარჯვენა, — სთქვა თანდილამ, ორ მეგობარს ხელი გადახია და როცა სახლს მიუახლოვდნენ, მეუღლეს შესძახა:

— აბა მართა, ხვავიანი სუფრა გაშალე, თორემ ხვალ გულას მთესველად გაგაყოლებ და ვაი შენი ბრალი.

კ. გ.-ლი

## მოულოდნელი მეტამორფოზა

ნახ. კანდეჯაისა



— ამ კოსტუმში მე კი არა, ჩემი უმცროსი ვაჟიც ვერ ჩაეტევა.  
— რა ვქნა ვეთაყვა! ამისი ზომა ერთი წლის წინათ ავიღე, მაშინ თქვენ მომმარაგებლად არ მუშაობდით.



# მეუბნე მათსა ფოთლი

საგარეუბნო — დამხმარე მეურნეობაში

სიზმრად ნახა თავმჯდომარემ...



— წელს მგონი შარშანდელზე აღრეგამეღვიძა, მხედავ მინდოდა რაღაცეა სჩანას...

— პირიქით, როგორც ამინდი მალეწებებს, წელს უფრო გვიან გავიღვიძეთ, მაგრამ სოფლის მესვეურებს უფრო გაბტყელებითა ძილი.



— ეს ღირებულებისთვის, ეს თავმჯდომარისთვის ღმერთო, კარგი მოსავალი მიიყვანე!



თხა — თუ კი ასეთი გემრიელი ხაჭკების შოვნა შეეძლოს თივა და წვეკრი რაღა ჯანდაბათ მინდოდა?



— სულ გადახვედრდა ჩვენი მუშაობელი გულთვარა: შარშან სამშენებლო არბლის ჭერსა ჰქონდა ბუდე და ხახათი ისე გამოცვალა, რომ წელს, ერთი გზა მახალა რომ აქ მოიქცებოდა გზას სადღაც სხვაგან მაინებინებნებს.

## ახალი პრეზუმი

1. ვინც არ იცის... გამგეობა და ვინც იცის — თანაშენწეო.
2. წინა ბაქინდან ვინც ადის, ყველა ორსულად კი არ არისო.
3. მერძევე წყალში იღრბობოდა და [მინც] უშენს მომგონს ვეანკვალეო.
4. ერთი ორსის ვიტრინიაო, [დათმე] ნახა — იტრინიაო... დაინახა თარიო, მატყუარა ხარო...
5. გაგზემ ახალნოსნილ თანამშრომელს მიამბა: ზურგი თუ არა გაქვს, კურტანი დაგვირდებოა.

## ახალი გამოსანები

1. ფეხებზე რქები წელზე ბაწარი, სინათლემ გათმევი... იცნობთ რაც არი. (მხატვარი)
2. ფერი ღალისა, გემო წყალისა. (მელანჩოლი მკობი).
3. ერთი დაღაქია, თუ არ გეჩუბათ, ისე თმის არ გაბარკეთ.

(ცოლი) შეკრება მინამ

## ორვეთ ბრუნვა



1. კოლმეურნეებმა გადახვედრეს მიეწეოთ თესლთა ბრუნვა.

2. მაგრამ თავმჯდომარე ძალიან სწრაფად აბრუნებდა თესს.

3. და როცა თვით თავმჯდომარე გაბრუნეს, თესლთა ბრუნვა მშვენიერად მიიწეო.

## უსხოარი იუმორი

### ხმის უზრავლესობით

ერთ გიგსა ჰკითხეს საგიეში როგორ მოხვდიო? მან უპასუხა: — ხალხი მე შეძახდა გიგს, მე მათ ვეძახდი. მერე ხმის უმრავლესობით მაჯობეს და აქ გამომგზავნესო.

### თამა და ასრულება

ხეიბარი ლონდონელი ჯენტლმენი ერთ ღამეს თავის ოთახში იჯდა ბუხართან. უცებ მშვენიერად ჩაცმული კაცი შეივლიდა და თავიხიზად მიმართა: — ბატონო ჩემო, მე დავინახე, რომ თქვენი მსახური ლუღისთვის წავიდა, ქუჩის კარები კი ღია დასტოვა, ხომ შეიძლება ვინმე მასწავლა შემოვიდეს, აი ასე ჩააქროს სანთლები, ასე დასტოვოს ხელი ამ ვერცხლის შანდლეს და გიოტკოს. — უთხრა ეს, თან ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც თქვა, გაიქცა და ბუხართანვე დასტოვა გამტრებული ჯენტლმენი.

### მელური პასუსი

ლომმა ბატკანს მოუხმო და ჰკითხა პირი თუ მიყარსო. — დიან, — მიუგო ბატკანმა. ნაღობთა შედეგ თავი მოსწევიტა ბრიყვეული პასუსის გამო. მერე მელი დიობარა და ივემ შეკითხვა მისცა — არა. — უპასუხა მუშინებულმა მელმა. ღომა მასაც მოსწევიტა თავი მოიქნელობის გამო. ბოლოს მელი დიობარა და მასაც ის ჰკითხა. — ბატონო ჩემო, მართალი მოგახსენით, სურდა მექცე და ვერაფერს ვერნებო. — უპასუხა გაიძვრა მელმა და ღომა მის ოსხვა თავიან აიცილა.





—მე არა ვარ დამნაშავე, ჩემზე წინათ ბერიას რაიონის სარემონტო კანტორის დირექტორად აკაკი ყალიჩავა გახლდათ. მე 1945 წლიდან ვარ აქ დანიშნული. აქაოდა ნოე ვაშაკიძე დანიშნეს სარემონტო კანტორის დირექტორად, ახლა მოინდომეთ მაინც და მაინც სისუფთავე?

—რომელ წელში გაუქმეთ ცხემის შესახვევი № 7/2 სახლში მოქ. ბაგრატ საგიკიანს ბინის რემონტი?

—1944 წლის თებერვლის თვეში გაუქმებით, მაშინ სარემონტო კანტორის დირექტორად ყოფილა აკაკი ყალიჩავა.

—კი მაგრამ ხომ ხედავთ, რომ ქუჩაში გავლა არ შეიძლება, უკვე მეორე წელიწადია, რაც ეზოდან გაზიდული ნაგავით ქუჩა გავსებულია, შეიძლება რაიმე უბედური შემთხვევა მოხდეს, რატომ არ გინდათ, ახლა მაინც გაიტანოთ ქუჩიდან ნაგავი?

—გეგმაში მაქვს შეტანილი. იმ ნაგავს გავიტან როცა იქნება, მანამდე—კი ფრთხილად იყავით, რომ შიგ არ ჩაეფლოთ, ან კისერი არ მოიტეხოთ.

—კარგი, ამ საქმეზე ყალიჩავა იყოს დამნაშავე, მაგრამ იმაზე რაღას გვეტყვი, რომ თხინვალის შესახვევი № 11 სახლიდან რემონტის დროს გატანილი ნაგავით ქუჩა სავსეა და ტრანსპორტს გავლა არ შეუძლია?

—კი, ამაში გეთანხმებით, ესეც მაქვს გეგმაში შეტანილი, ამაში მე ვარ დამნაშავე.

—მგონი თქვენ დროს გაუქმდა კაპიტალური რემონტი კოტე მესხის შესახვევი № 11 სახლსაც.

—დიახ, სწორია.

—როდის გაუქმდა რემონტი?

—1945 წელს.

—ნახეთ თუ არა, რომ ქუჩაში გავლა არ შეიძლება. ეს უკვე მეორე წელიწადია, რაიმე უბედური შემთხვევა რომ მოხდეს, ამაზე ვინდა აგებს პასუხს?

—თუ მაინც და მაინც მოხდება რაიმე შემთხვევა, ჯერ სასწრაფო დახმარებას გამოუძახეთ, შემდეგ სახანძრო რაზმს, მერე ქუჩა გაწმინდეთ და ნახეთ როგორ გაადვილდეს სიარული.

—ერთი ამბზეც მიპასუხეთ—მოგწერათ თუ არა ვინმემ ქუჩების გასუფთავების შესახებ?

—მომწერა კი არა, რამოდენიმეჯერ დამაჯარიმა კიდევ მე-16-სამილიციო განყოფილებამ, მაგრამ მერე რა? ჯარიმა გადაიხადა სარემონტო კანტორამ და არა მე.

—მაშ, კარგი.

—რას მაშინებ ძამია? რაღა ჩემი უბანი შეამჩნიეთ? აბა შეიხედეთ ბერიას რაიონის კომუნალურ განყოფილებაში; ყიფიანის ქუჩაზე № 30-ის ხვევით ქუჩა სრულებით გაუქმებულია და ფეხით სიარულიც კი არ შეიძლება. 1940 წლის 10 მაისს დიდი ნიაღვრის დროს ჩამოტანილი ღორღი და ნაგავი ჯერაც ხელუხლებლად ყრია და არავინ ფიქრობს მის გაწმენდაზე.

—დიახ, ზოგჯერ ასეთ დილოგებსაც მოჰკრავთ ყურს ბერიას სახ. რაიონის სარემონტო ტრესტში.

3. ონტოლოგი

სოხუმელი აჩუკა

სთქვით რას ერჩით ამ არშაკს?  
განა ცუდი კაცია?  
უყვარს ცოტა ახირება  
და ხალტურაც პაწია.  
დაანებეთ თავი არშაკს!  
უყვარს კომბინაცია,  
თუმცა ჩვენი სახთეატრი  
საწველ ფურად აქცია.  
მაშ, რით ჭამოს „ოხობტორგში“—  
ეს „ჯენტლმენი“ კაცია.  
თუ პროგრამას თუმნად ჰყიდის—  
ცოტა ნიხრი ასწია,  
დამატება თუ არ ექნა  
ჯამაგირი რას ჰქვია?  
მე თქვენ გეტყვით: ის არშაკა  
დარდიმანდი კაცია!  
თუ ბალტოში ხელი გავლო,  
აკვანივით გარწია,  
თუ გირვანქა მუშტოც დაგცხო,  
ხარით წამოგაქცია,  
მეტრეველი დაგამშვიდებს:  
— რა ვქნათ, ჩვენი კაცია!

პირდაპირ

მშვენიერი სოფელია გომი. ისეთი მშვენიერი, რომ აქ თუ მოხვდით—მაშინვე კულტურული დასვენებისა და წიგნების კითხვის გუნებაზე დადგებით. კაი მოგეცათ—კარგია ასეთი გუნება; მაშინვე ადგებით და იკითხავთ:  
— სად არის აქ კლუბ-სამკითხველო?  
თქვენი მოსაუბრე თავს ჩაჰქინდრავს და რაღაცს ჩაილულულულებს.  
— რაო, სად არის ვერ მეტყვიეთ?—გაუმეორებთ თქვენ.  
— გეტყვით, თმის დაწყებამდე რომ გვეკითხათ, მაგრამ...  
— ახლა რატომ ვერ მეტყვიეთ?  
— იმიტომ, რომ იმ ადგილას, სადაც მანამდე კლუბ-სამკითხველო იყო, ახლა საწყობია.  
— რა საწყობი?  
— ჩვენი კოლმეურნეობის საწყობია, ესე იგი კლუბ-სამკითხველო საწყობად გადააკეთეს.  
— ვინ გადააკეთა?  
— ჩვენმა სოფსაბჭომ.  
— რა აწყვია შიგ, წიგნები?  
— არა გეთყვია, ცარიელი ტომრები, კასრები, ყუთები და პროდუქტები.  
— მერე სამკითხველო სად წაიღეს?  
— სამკითხველო? (ქერის იფხანს თქვენი მოსაუბრე)—ის, რაც სამკითხველოს ნაშთად დარჩა, ერთ პა-

ტარა ფარლალა ოთახში შეიტანეს, ან კი რაღაც იყო შესატანი? ერთი მინგრეული კარადა, (შიგ წიგნები არ გვეგონოთ), ორიოდ ფურცელმკლებული წიგნი და ჟურნალ-გაზეთის ნახევები, ერთი დანჯღრეული მაგიდა (სკამი არ არის). ჰო, კინაღამ დამავიწყდა—ერთიც ძველი ბოქლომი, რომელიც იმ „ნა-სამკითხველოვარს“ მუდამ კარებზე ჰკიდია, რომ შიგ მკითხველნი არ შევიდნენ და შიგნიდან თავები არ გამოვიდნენ გარეთ.  
— რაო, რატომ გადააკეთეს კლუბ-სამკითხველო საწყობად, კულტურული მუშაობა არ უნდოდათ?  
— რა დროს კულტურული მუშაობააო,—ამბობდნენ მაშინ,—არ იცით, რომ ახლა ომიო?  
— ახლა?—ახლა ხომ მშვიდობიანი მშენებლობაა, რას ამბობენ სოუსაბჭოში?  
— ახლა? ახლა აღბად ფიქრობენ, რაკი გადაეჩვიეთ უკულტურულსამკითხველოებას, ისევე განვადროთ, რაღა საჭიროა შეჩვევაო.  
თქვენ მაშინ მხრებს აჩრჩავთ და ჩაილაპარაკებთ:  
— განა ცუდი იქნება, რომ ხაშურის რაიონათა-ლების განყოფილება შეგებრძოლოს ასეთ ჩვეულებას? ჩვენც გვეგონია—კარგი იქნება და, მით უფრო კარგი იქნება, რომ ამ სიტყვებს გაიგონებდეს რაი-განგანყოფილება მაინც.

უ. გავალი


გეუჟარა

ნახ. დონისა



— რას გისაყვედურებდა ეს მუშტარი?  
— ეს რას გავს, 30 პროცენტი წყალი გავირევიათო.  
— მაშ მეტს ხომ ვერ გავურევდით? ჩვენთან ფახების დაკლება ჯერ-ჯერობით 30 პროცენტით ჩატარდა.





— თუ ეს აუზი ამგავით არ გავაფუჭებ, ჩვენი ბუფეტის გაზიან წყალს აღარავინ დაღვეს.

— ძია, მანეთს რად მახდევინებ. აკი წყალი ვნ კაბიკი ღირს! — შვილო, შენ თუ წყალი გინდა, მე ცხოვრება არ მინდა!

# ნიანგის ფოსტა

## ფოსტა

მინ. ხაშელს: გვისაყვედურებთ: მართა თბილისელ მუნაგებების თავგასულობაზე რომ სწერთ, ფოთში რატომ არ ჩამოიხედავთ, ნავთის წერტის გამგე ანდლულაძის „იშკილების“ გასაცნობადო. გულახდით უნდა გითხრათ, მაგ თქვენს ანდლულაძეს ისეთი ჩვეულება ჰქონია, რომ თავი ვერ გავიმეტეთ:

„სტახანოვის ქუჩაზედა გახსნილია ნავთის წერტი,— მას განაგებს ანდლულაძე და ტყავს გვაძრობს განუწყვეტლევ“.

ასეთ „სარისკო“ საქმეზე როგორ ჩამოვიდეთ ფოთში? აქ-ურმა მენავთე-მელუდე-მებურებმა იმდენჯერ გავაძრეს ტყავი, რომ საანდლულაძეოდ აღარ დაგვრჩა. ჩვენ აქედან აგუწავთ ტყავს თავგასულ ანდლულაძეს, ხოლო ადგილობრივ სჯობია „ფოთსათბობის“ მესვეურებმა მოჰკიდონ ხელი იმ აქტებს, რაც თურმე უთვალავად დგება ანდლულაძის საქმეებზე.

## ჩოხატაშის რაიონი

ბურნათე ბზის: გულამაჩუყებელი ამბებია მოთბობილი თქვენს ლექსში: ჩვენ აქედანაც მშვენივრად ვიცით, რომ თქვენს სოფელში ყუმბარა (ალბად ატომურს გულისხმობთ) არ დაცემულა. კლუბის შენობის დახიანება, ან სასადილოს და აფთიაქია დაკეტვა თქვენი საბჭოს თავმჯდომარის „მოუცლილობას“ უნდა მიეწეროს. მართლაც და კულტურულ კაცს სად შეუძლია მოიკალღს ამდენი კულტურული საქმეებისათვის? სხვა „უკულტურო საქმეები“ მოათავა თუ? თქვენ ახირებულად დაასკვნით:

„ნიანგა, გთხოვთ დაგვეხმარო, გამოვადვილოთ ეს თემი, რომ ამ ჩვენმა თავმჯდომარემ არ გაბედოს ასეთები“.

გამოდის, რომ ამდენი უთავბოლობანი ძილში ჩაუდგინა თქვენს თავმჯდომარეს. ალბად ამაზე ნათქვამი „ბევრი ძილი სახიანოა“. ვნახოთ, წაიკითხოს „ნიანგის“ დღევანდელი ნომერი და თუ კიდევ გამოვლიძება დასჭირდეს—სხვა ზომასაც მივმართოთ.

## აქვე

ნაპერწყალს: განვიხილოთ თქვენი წერილი და ჩვენც აღვშფოთდით. გაუგებრობად მიგვჩინა ის გარემოება, რომ თქვენი განცხადებისათვის ყურადღება არ მიუქცევია ბერიას სახ. რაიონის ჯანგანყოფილებას და საჭირო ზომები არ მიუღია ჯაფარიძის ქ. № 4 მდებარე სახლში ანტისანიტარული პირობების აღსაკვეთად. ესეც არ იყოს, როგორ გაუძნელდათ მაგვე რაიონის კომუნალურ განყოფილებას, ან კანალტრესტს დაზიანებული მილების გამოცვლა-შეკეთება?

ეგ ხომ ის შენობაა, სადაც ამხ. ს. მ. კიროვი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა,—ამას გარდა განა მაგ შენობაში არ არის მოთავსებული ორი მნიშვნელოვანი სამინისტრო? მართა ესეც ხომ კმაროდა იმისათვის, რომ ეს მშვენიერი სახლი დანესტიანება-დაზიანებისაგან დაეცვა?

ჩვენ ვგვანია, ბერიას რაიონგანს, ჯანგანსა და კანალტრესტს შერცხვით, იფიქრეს: „ეს როგორ დაგვემართა, რომ აქამდე ვერ მივხედეთ ამ სახლსო“. — იმდენად შერცხვით, რომ ხირცხვილისაგან დაიბნენ და ამის გამო შეგავიანდათ. დაუცადეთ, იმ სირცხვილის სიწითლე გაუგლით და ყველაფერს მოაწესრიგებენ.

## ჩხოროწყუ

რიდის: სხვა დროსაც გვსმენია თქვენი ბაზრის კეთილმოწყობის ამბავი, მაგრამ ვტყობა, კიდევ უფრო ფანტასტიური წარმატებებისათვის მიგიღწევიათ:

„მშვენიერი ბაზარი გვაქვს, ბაზრის მოედანიც კარგი: ვითხუნებით ტალახში და გამოვდივართ მინაქარგი“-ო გვამცნობთ.

საკვირველია, ჩვენ „მოქარგვა“ აქამდე წარმოდგენილი გვქონდა, როგორც სხვა, უფრო მხატვრული, ესთეტური მცნება. სიტყვას გაძღვეთ, რომ ხატვრას შეგისრულებთ და არ შევალთ მაგ თქვენს ტალახიან ბაზარში. ჩვენ რას გვეოჩინო?—თქვენი კომგანი შეიკვანეთ ხოლმე მაგ ბაზარში რაც შეიძლება ხშირად, რომ უფრო მეტად „მოქარგული“ გყავდეთ.

## საშური

მებრძოლს: გეტყობათ არ გცნობიათ მომარაგების დარგში მომუშავეთა ჩვეულება, თორემ საშურის გასამხედროებული მე-2 რაზმის მომარაგების უფროს გეგეტკორის ამბავი ასე არ გავიკვირდებოდათ:

„რამ გავაბრუნოთ არ მესმის, ეგ რა მითხარიო ყმაწვილო, სახლშიც არ გამოიგზავნია, თქვენ რაღა გავინაწილოთ?“

აცალით. მან უკეთ იცის როდის და როგორ უნდა განაწილდეს თქვენთვის „გამონაწილებული“ პროდუქტები. ის ხომ გამოუცდელი ვინმე არ ყოფილა, როგორც თქვენვე იწერებთ. რა იცით, რომ სხვა მის ადგილას უარესს არ იხამდა? აბა აცნობეთ ეს ამბები სასკონტროლის კომისიას და ჰკითხეთ, თუ მართალს არ ვამბობთ.



ნაგრვილი მიჯნუნი

ნახ. გ. ისაყვას



— ვერ გამოიგია რაშია საქმე. ეს ადგილი რომ ამ დილით დათესეს. აგერ ნახევარი საათია ვეძებ და ორი მარცვალი სიმინდის მეთი ვერ აღმოვაჩინე.  
 — მაგის გაგებას რა დიდი ამბავი უნდა: ბრიგადირმა სათესლე სიმინდის ნახევარი აქ დათესა, ნახევარი კი—სახლისკენ „ათესა“.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ძ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ I რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1946 წ. 17/IV დ. პ. ბერეას ხას. ძოლოგრაფიკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გაშლ. № 34. შეკ. № 509. ტირ. 7500. უფ 01611